ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2286886

ნომერი: AR1355169

თარიღი : 08.11.2015

გაცემის თარიღი : 09.11.2015

გაცნობის თარიღი : 10.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვაზისუბნის , N 38 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვაზისუბანი , N 36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ვაშაკიძე პ/ნ 01017005488
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 15/12

ორგანიზაცია:

- შპს "ჰესტია" კოდი: 404436482

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 8 ნოემბერს NAR1355169 განაცხადით მიმართეს კახაბერ ვაშაკიძემ და ხათუნა კასრაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2015 წლის 9 ოქტომბრის N2226568 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,დევკო“. საიდენტიფიკაციო კოდი: 405120989.

განმცხადებლების განმარტებით, არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 5 ნოემბერს გამოცემული N2278844 ბრძანებაში არასწორად იქნა მითითებული შპს ,,დევკო“–ს დირექტორის სახელი და გვარი, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც ტექნიკური ხარვეზის გასწორების შემდგომ, გადაწყვეტილების ტექსტში შპს ,,დევკოს“ დირექტორად ნანული კასრაძის ნაცვლად, დაფიქსირდება ხათუნა კასრაძე.

სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანების ტექსტი შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს, სადაც შპს ,,დევკოს“ დირექტორად ხათუნა კასრაძის ნაცვლად მოხსენიებულია ნანული კასრაძე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება გადაწყვეტილილების ტექსტში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 -ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს კახაბერ ვაშაკიძის და ხათუნა კასრაძის 2015 წლის 8 ნოემბრის NAR1355169 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანების ტექსტში, კერძოდ: შპს ,,დევკოს" დირექტორად ნანული კასრაძის ნაცვლად დაფიქსირდეს ხათუნა კასრაძე;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ნოემბრის №2278844 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი ქ. თბილისის შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.